დანართი N2

დამტკიცებულია სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის

ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის

2020 წლის 2 მარტის N_____ ბრძანებით

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს „საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს“ დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (შემდეგში - ეროვნული სააგენტო) „საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს“ (შემდეგში - „საბჭო“) შემადგენლობა განსაზღვრულია სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებით;

2. საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების, წინამდებარე დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. ამასთან, საბჭოს მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო დოკუმენტი არის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა (არსებობის შემთხვევაში) და მისი რეკომენდაციები.

3. საბჭოს გადაწყვეტილება სავალდებულოდ გასათვალისწინებელია ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორისათვის, მისი გათვალისწინება ასევე სავალდებულოა ნებართვის გამცემი ორგანოებისათვის;

4. საბჭოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.) დაინტერესებული მხარისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 2. საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა

1. საბჭო დაკომპლექტებულია:

ა) **მუდმივი წევრებისაგან** - ეროვნული სააგენტოს თანამშრომლების, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების და დარგის ექსპერტებისაგან;

ბ) **არამუდმივი წევრებისაგან** - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებისაგან;

2. საბჭოს აპარატი შედგება ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის, იურიდიული სამსახურისა და იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის სპეციალისტებისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი ასრულებს საბჭოს მდივნის ფუნქციებს;

3. საბჭოს სხდომებს უძღვება ეროვნული სააგენტოს იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი. საბჭოს ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე ან გენერალური დირექტორის მიერ დროებით განსაზღვრული პირი;

მუხლი 3. საბჭოსა და მისი აპარატის საქმიანობის წესი

1. საბჭოს სხდომას წარმართავს ხელმძღვანელი, რომელსაც მომზადებულ საკითხს განსახილველად წარუდგენს აპარატის ხელმძღვანელი;

2. სხდომის მოწვევას, დღის წესრიგის შედგენას, საოქმო ჩანაწერების წარმოებას და შემაჯამებელი გადაწყვეტილების შესაბამისი სამსახურისთვის გადაგზავნას უზრუნველყოფს საბჭოს აპარატი;

3. საბჭოს სხდომა ტარდება როგორც წესი 2 კვირაში ერთჯერ, ოთხშაბათ დღეს. განსახილველი საკითხის არარსებობის შემთხვევაში სხდომა გადაიდება მომდევნო ორი კვირით. საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს უფლება აქვს მოიწვიოს საბჭოს რიგგარეშე სხდომა;

4. ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დაესწროს საბჭოს სხდომას და დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება.

მუხლი 4. სააგენტოში ნებართვის მისაღებად ან/და შესათანხმებლად წარსადგენი დოკუმენტაცია

1. სააგენტოში წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შეესაბამებოდეს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო რეგულაციებს. ამასთან, მას უნდა ახლდეს:
ა) შესაბამისი დასაბუთება, რომელშიც წარმოჩენილი უნდა იყოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის ძირითად რეკომენდაციებსა და საპროექტო შეთავაზებას შორის და უნდა შეიცავდეს საპროექტო ობიექტის წარმოდგენილი სახით გადაწყვეტის შესაბამის დასაბუთებას;
ბ) ფოტომონტაჟი, პანორამული ხედების ჩვენებით, სადაც დაფიქსირებული იქნება საპროექტო ობიექტის მდებარეობა და მისი მოცულობა, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ვიზუალური აღქმის არეალის ძირითადი ხედვის წერტილებიდან;
გ) სიტუაციური გეგმა, მსოფლიო მემკვიდრეობის ბუფერული ზონის არეალში საპროექტო ტერიტორიის მითითებით;
დ) საპროექტო დოკუმენტაციის შემდგენელი პირების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომი);
2. საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე სააგენტოში წარსადგენ საპროექტო დოკუმენტაციას თან უნდა დაერთოს:
ა) მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან შეთანხმებისათვის გადასაგზავნად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის ინგლისურენოვანი თარგმანი;

ბ) ICOMOS-ის „მსოფლიო მემკვიდრეობის კულტურული მემკვიდრეობის შეფასების სახელმძღვანელოს“ შესაბამისად მომზადებული „მსოფლიო მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი“.

მუხლი 5. გადაწყვეტილების მიღებისა და გაფორმების წესი

1. საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის არნაკლებ 2/3, გარდა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისა, რომელთა დასწრებაც სავალდებულოა იმის მიხედვით, თუ რომელ მუნიციპალიტეტში მდებარე მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის შესახებ იხილება საკითხი;

2. საკითხი დადებითად გადაწყვეტილად ითვლება თუ მას მხარი დაუჭირა საბჭოს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, საკითხი ხელახლა მომზადდება შემდეგ სხდომაზე გასატანად, ხოლო განმეორებით ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება საბჭოს ხელმძღვანელს;

3. საბჭოს ყოველი წევრი ვალდებულია განსახილველი საკითხის მიმართ წერილობით დააფიქსიროს თავისი პოზიცია მკაფიოდ, ნათლად და არგუმენტირებულად;

4. საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ადგენს საბჭოს მდივანი. ოქმს ხელს აწერენ საბჭოს ხელმძღვანელი, აპარატის ხელმძღვანელი და მდივანი.

5. სათანადო წესით დამოწმებული ოქმი, გენერალური დირექტორის მიერ საკითხზე საბოლოო აქტის გამოცემამდე, ინახება საბჭოს აპარატში, ხოლო შემდეგ გადაეგზავნება შესაბამის სამსახურს;

მუხლი 6. საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანის წესი

საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.